ახალი უმაღლესი სასწავლებელი ნიუუნი

NEW HIGHER EDUCATION INSTITUTE NEWUNI

სტუდენტთა წახალისების, სტიპენდიებისა და შეღავათების განსაზღვრის წესი

1. შპს „ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუუნის“ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე მოქმედები შეღავათები:

ა) სახელმწიფო გრანტით ჩარიცხული სტუდენტებისათვის;

ბ) სტიპენდიები წარჩინებული სტუდენტებისთვის;

გ) შეღავათები სტატუსშეჩერებული სტუდენტებისათვის;

დ) სხვა შეღავათები ინდივიდუალური შემთხვევების გათვალისწინებით.

2. სახელმწიფო გრანტით ჩარიცხული სტუდენტებისთვის შეღავათები

2.1 სახელმწიფო გრანტით ჩარიცხული სტუდენტებისთვის შეღავათები მოქმედებს ყველა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

2.1 სტუდენტს შეიძლება გაეწიოს შეღავათი ერთჯერადი ფასდაკლებით ან სწავლის საფასურის შემცირებით.

2.2 სტუდენტისთვის გაწეული შეღავათი უნდა აისახოს სტუდენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში და სწავლის საფასურის გადახდის გრაფიკში.

3. სტიპენდიები წარჩინებული სტუდენტებისთვის

3.1 სტუდენტებს, რომელთაც სემესტრის ბოლოს დაუფიქსირდებათ მაღალი აკადემიური რეიტინგი, მათი წახალისების მიზნით, სასწავლებელი უნიშნავს სასწავლო სტიპენდიას მომდევნო სემესტრში.

3.2 სტუდენტს, რომლის შეფასების საშუალო მაჩვენებელი სემესტრის ბოლოს იქნება A (91-100 ქულა), ენიშნება სტიპენდია 600 ლარის ოდენობით.

3.3 ცალკეული შემთხვევიდან გამომდინარე, შესაძლებელია მოხდეს სტიპენდიის გაცემა ერთჯერადად.

4. სტატუსშეჩერებული სტუდენტების ფასდაკლება

4.1 სასწავლებელი, ცაკლეული შემთხვევების გათვალისწინებით, აწესებს შეღავათებს სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის.

4.2 შეღავათების დადგენა ხდება სტუდენტის აკადემიური მოსწრების, მისი ფინანსური მდგომარეობისა და სხვა კომპონენტების გათვალისწინებით.

4.3 შეღავათის ფორმას ადგენს სასწავლებლის რექტორი ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე.

5. სხვა შეღავათები

5.1 სხვა სახის შეღავათები შეიძლება დაწესდეს სასწავლებელში მოქმედ ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე.

5.2 შეღავათები შეიძლება გავრცელდეს:

ა) სასწავლებელში ერთდროულად სწავლის შემთხვევაში, დედმამიშვილებზე;

ბ) სასწავლებლის პერსონალის ოჯახის წევრებზე;

გ) რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტების საფუძველზე.